



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030481909757718

№ 04-469/ო

03 / აგვისტო / 2018 წ.

**სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 7 აპრილის № 04-193/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის ფარგლებში განსახორციელებელი კონტროლის მიზნებისათვის, შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცებისა და მასზე ხელმოწერის უფლების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 7 აპრილის № 04-193/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ამ ბრძანებით დამტკიცებული შემოწმების აქტის ფორმა მოიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ საგალდებულო ინფორმაციას და მისი სანიმუშო ხასიათი გამოიხატება აქტში დამატებითი და საქმისათვის აუცილებელი სხვა მონაცემების შეტანის, აგრეთვე, შემოწმებას დაქვემდებარებული პროგრამის ადმინისტრირების განსხვავებულ პირობებთან (მაგ.: საჯარიმო სანქციების გადახდის პირობები) შესაბამისობაში მოყვანის დასაშვებობაში.“

ბ) შემოწმების აქტის სანიმუშო ფორმა დაზუსტებულ იქნეს რედაქციულად, მათ შორის, მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოყვანილი რედაქციით და მისი კონსოლიდირებული ვერსია განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების დანართის სახით:

**„18. განსაკუთრებული მითითება მიმწოდებლის საყურადღებოდ:** აქტის გაცნობის შემდეგ, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოების მიზნებისათვის, მიმწოდებლის მხრიდან განმარტოვებულთან ისეთი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა, რომლის არარსებობის ან/და მიმწოდებელთან სათანადოდ დაუსველობის გამო, გამოყენებულია საჯარიმო სანქციები, შესაძლოა განხილულ იქნეს განმარტოვებულის მოთხოვნის დაგვიანებით შესრულებად და განაპირობოს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ცვლილება, მ.შ., მიმწოდებლის ფინანსური ვალდებულების გაზრდა. ამასთან, განმარტოვებელი უფლებამოსილია, ცალკე წარმოებით არ განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ იგი წარდგენილია ტექნიკური, აგრეთვე, გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომების გამო, შემოწმების აქტში განხორციელებულ ცვლილებებზე.“

2. დაევალოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და შემოწმების აქტის სანიმუშო ფორმის (კონსოლიდირებული ვერსია) სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება.


3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანებისა და მისი დანართის სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

4. ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა (პ. ცაძიკიძე).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგვდასმულია  
ელექტრონულად 

მიხეილ დუნდუა

# სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო

დამტკიცებულია

თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორის 2017 წლის „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_  
N----- ბრძანებით

შემოწმების აქტის სათაური - შესამოწმებელი პირის, შემოწმების ფარგლებში (პროგრამა/კომპონენტი/ქვეკომპონენტი/თემა) და პერიოდის მითითება

\_\_\_\_\_ შემოწმების აქტი N \_\_\_\_\*  
შერჩევითი/თემატური

\_\_\_\_\_ აქტის შედგენის ადგილი

„\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 2017 წ.  
\_\_\_\_\_ აქტის გაფორმების თარიღი

## I. აღწერილობითი ნაწილი

### 1. შემოწმების ჩატარების სამართლებრივი და დოკუმენტური საფუძვლები:

**სამართლებრივ საფუძვლებად იწერება:** ნორმატიული აქტი, რომლითაც დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, უშუალოდ სახელმწიფო პროგრამა და მისი შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც (მაგალითად, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-15<sup>1</sup> მუხლი), სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს შემოწმება; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

**დოკუმენტურ საფუძვლებად იწერება:** (მივლინების ბრძანება, რომელიც ადასტურებს შემოწმების განხორციელების უფლებამოსილებას, პერიოდს და შემოწმების სუბიექტს/საგანს; ზემდგომი ან სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი დავალება (ასეთის არსებობის და/ან არაკონფიდენციალობის შემთხვევაში); მონაცემთა წყარო, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება შემოწმება (გარდა შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციისა და კონფიდენციალური მასალისა).

### 2. შემოწმებელი ჯგუფის შემადგენლობა:

**იწერება:** ჯგუფის ხელმძღვანელის და წევრების სახელი, გვარი, თანამდებობა, შემოწმების დასრულების/ შემოწმების აქტის გაფორმების პერიოდში.

### 3. შემოწმებას დაქვემდებარებული მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები:

\_\_\_\_\_ მიმწოდებლის საფირმო სახელწოდება

\_\_\_\_\_ მიმწოდებლის ფილიალის/ბიზნეს-ერთეულის სახელწოდება (ასეთის არსებობისას)

ს/კ \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო ნომერი

\_\_\_\_\_ მიმწოდებლად რეგისტრაციის თარიღი და ნომერი (ასეთის არსებობისას)

\_\_\_\_\_ მიმწოდებლის იურიდიული მისამართი

\_\_\_\_\_ მიმწოდებლის ფაქტობრივი მისამართი

მიწოდების ფილიალის/ბიზნეს-ერთეულის ფაქტობრივი მისამართი

მიწოდების საკონტაქტო ტელეფონ(ებ)ი \_\_\_\_\_

\* აქტის ნუმერაცია განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით და ნიშნებით: წელი/დღე/თვე/ (შემდგომი მანიშნებელი განისაზღვრება შემმოწმებლის მიერ)

#### **4. შერჩევით შემოწმებას დაქვემდებარებული მიწოდების სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, თანამდებობა):**

*იწერება: როგორც მიწოდებელი სამედიცინო დაწესებულების, აგრეთვე, მისი ფილიალის/ბიზნეს-ერთეულის ხელმძღვანელის გვარი, სახელი, პირადი ნომერი, თანამდებობა.*

#### **5. შესამოწმებელი პერიოდი, შემოწმების ვადა:**

*შესამოწმებელ პერიოდში იწერება: დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში დამდგარი სამედიცინო შემთხვევებიც ექვემდებარება შემოწმებას;*

*შემოწმების პერიოდში იწერება: პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შემოწმებას ახორციელებდა შემმოწმებელი ჯგუფი.*

#### **6. შერჩევითი შემოწმების პროგრამის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკითხების დასახელება, შერჩევითი შემოწმებისას გამოყენებული კანონმდებლობა, მასალები, დოკუმენტაცია:** \_\_\_\_\_

## **II. სამოტივაციო ნაწილი**

#### **7. შერჩევითი შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების ფაქტობრივი აღწერა და სამართლებრივი შეფასება (შედეგები):**

*იწერება:*

- დარღვევები წარმოდგენილი უნდა იყოს სისტემატიზებული სახით (ერთგვაროვანი დარღვევები).
- სამედიცინო შემთხვევები იდენტური შინაარსის დარღვევებით, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემოწმების აქტის დანართის სახით, ხოლო აქტში მიეთითოს დანართის ნომერი, თუმცა, სავალდებულოა აქტის სამოტივაციო ნაწილში დეტალურად იქნეს წარმოდგენილი ამ შემთხვევებთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებანი/მითითებები, რომელთა არსებობის პირობებში, აღნიშნულ შემთხვევებს მიწოდებელი დარღვევად არ მიიჩნევა;
- ყოველი სისტემატიზებული სახით წარმოდგენილი შემთხვევ(ებ)ის ფაქტობრივი აღწერის შემდეგ, უნდა მიეთითოს ნორმატიული აქტის ის მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი, რომლის დარღვევასაც აქვს ადგილი;
- მიწოდების პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს, სავალდებულოდ უნდა იქნეს მითითებული ნორმატიული აქტის ის მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც ხდება მიწოდებისათვის საჯარიმო სანქცი(ებ)ის დაკისრება;
- ბოლოს, უნდა განისაზღვროს მიწოდებისათვის დაკისრებული სანქცი(ებ)ის ოდენობა (უკან დაბრუნებას ექვემდებარება -- ლარი, დამატებითი საჯარიმო სანქცია შეადგენს-- ლარს), სულ ---- ლარი.

#### **შენიშვნა:**

**1.** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოვლენილი და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამავე კოდექსის 60<sup>ე</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

**2.** შემოწმების აქტის აღწერილობით ნაწილში ცალკეული ან სისტემატიზებული შემთხვევების ნუმერაცია უნდა განხორციელდეს უწყვეტად, შემდეგი პრინციპის დაცვით: პუნქტები 5.1, 5.2. და ა.შ.; თუ თითოეულ პუნქტში (5.1) სავალდებულოა შემთხვევების ცალ-ცალკე წარმოდგენა, მათი დაყოფა უნდა განხორციელდეს ქვეპუნქტების სახით, ამ პუნქტის

ნაწილში უწყვეტი ანბანური თანმიმდევრობით. ახალი პუნქტის ქვეპუნქტებად წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ახალი ანბანური თანმიმდევრობით. აქტის ყველა გვერდი უნდა იყოს ბეჭდურად დანომრილი.

### III. დასკვნითი ნაწილი

8. მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს, მათ შორის :

8.1. უკან დაბრუნებას ექვემდებარება \_\_\_\_\_ ლარი;

8.2. დამატებითი ფინანსური ჯარიმა შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

9. შერჩევითი შემოწმების აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც, ამავე კოდექსით დადგენილი წესით, ერთჯერადად, შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144), ან სასარჩელო განცხადებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), აქტის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

*მე-10 -12 პუნქტები დამატებით მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ შემოწმება ტარდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.*

*მე-10-12 პუნქტების ნაცვლად, ჯანმრთელობის დაცვის ე.წ. „ვერტიკალური“ პროგრამ(ებ)ის ფარგლებში შემოწმების აქტით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების შესრულების პირობად უნდა განისაზღვროს შემდეგი:*

*„მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.“*

10. ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში არ შეაჩერებს სადავოდ ქცეული შემოწმების აქტის აღსრულებას, გარდა აქტისა, რომლის საფუძველზე დაკისრებული საჯარიმო სანქციის ჯამური ოდენობა არ აღემატება 10 000 ლარს.

11. შემოწმების აქტის აღსრულება/საჯარიმო სანქციების შესრულება, მათ შორის, მათი გადახდის განაწილვადება, ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-19<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

12. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემოწმების აქტის გაცნობიდან, საჯარიმო სანქციების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, ნებაყოფლობით გადაიხადოს დაკისრებული თანხა ან მისი დარჩენილი ნაწილი, შემდეგი საბანკო მონაცემებით:

*ქვემოთ მოყვანილი საბანკო მონაცემების მითითება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის ყველა პროგრამისათვის:*

12.1 უკან დასაბრუნებელი თანხა (გასული პერიოდის) აღდგენილ იქნეს შემდეგი საბანკო მონაცემებით:

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში  
ანგარიშსწორების ანგარიში - GE24NB0330100200165022  
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი - TRESGE22  
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003460

**12.2. დამატებითი ფინანსური ჯარიმები გადახდილ იქნეს შემდეგი საბანკო მონაცემებით:**

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში  
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი - TRESGE22  
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი- 302003243

13. შემოწმების აქტით დაკისრებული საჯარიმო სანქცი(ებ)ის ან მისი ნაწილის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, წერილობითი მიმართვით, დაუყოვნებლივ წარუდგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სააგენტოს ან მის ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს.

**14. შერჩევითი შემოწმება ჩაატარეს:**

14.1 \_\_\_\_\_ ხელმოწერა  
ჯგუფის ხელმძღვანელის სახელი, გვარი

14.2 \_\_\_\_\_ ხელმოწერა  
ჯგუფის წევრის სახელი, გვარი

**15. შერჩევითი შემოწმების აქტი შედგენილია \_\_\_\_\_ ეგზემპლარად, მიმწოდებლის/ფილიალის/ბიზნეს ერთეულისათვის გადასაცემად.**

*შენიშვნა: თუ შემოწმება ხორციელდება მიმწოდებლის ფილიალში/ბიზნეს ერთეულში, შემოწმების აქტის თითო ეგზემპლარი ერთსა და იმავე დღეს უდა გაეცნოს როგორც უშუალოდ მიმწოდებელს, ასევე, მისი შემოწმებული ფილიალის/ბიზნეს-ერთეულის უფლებამოსილ წარმომადგენელს.*

**16. შემოწმების აქტი ძალაში შედის მიმწოდებლისათვის გაცნობისთანავე.**

*შენიშვნა:*  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას. დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია.  
სათანადოდ გაფორმებული აქტი გაცნობის მიზნით, ერთსა და იმავე თარიღში, გადაეცემა როგორც უშუალოდ მიმწოდებელს, ასევე, მის ფილიალს/ბიზნეს-ერთეულს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამისათვის, შემოწმების აქტი ბარდება მიმწოდებლის საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) რეგისტრაციის რეკვიზიტების მიღებით (რეგისტრაციის ნომერი, თარიღი და მიმღები

პირის თანამდებობა, სახელი, გვარი) ან შემოწმების აქტი გადაეცემა უშუალოდ მიმწოდებლის სათანადოდ უფლებამოსილ პირ(ებ)ს, რაც დასტურდება განმახორციელებლის ეგზეკუტორზე ამ პირ(ებ)ის სახელის, გვარის, თანამდებობის და ჩაბარების თარიღის ჩვენებით და დასტურდება მისივე (მათივე) ხელმოწერით (შემოწმების აქტის უშუალოდ ჩაბარება მიმწოდებლის და ფილიალის/ბიზნეს-ერთეულის წარმომადგენლისათვის უნდა განხორციელდეს ასევე ერთსა და იმავე დღეს).  
შემოწმების აქტის მიმწოდებლისათვის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, სავალდებულოა მისი დაზღვეული სახით გაგზავნა და საფოსტო შეტყობინებით ჩაბარების სათანადო დადასტურება.

**17. მიმწოდებლის შენიშვნები და ვალდებულებები \_\_\_\_\_**

- ამ პუნქტში მიმწოდებლის მიერ შეიტანება აქტთან ან მის გაცნობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოსაზრება, შენიშვნა, პოზიცია, რომელიც შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ასევე, აქტის დანართის (თავისუფალი ფორმით) ან/და სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურ(ებ)ისათვის წერილობითი მიმართვის სახით, მათ შორის, შემოწმების მიმდინარეობის პროცესში.

- ამავე პუნქტში შემოწმებლის მიერ აღინიშნება მიმწოდებლისათვის განსაზღვრული ვალდებულება აქტით დაფიქსირებული დარღვევების პრევენციის ღონისძიებებზე.

**18. განსაკუთრებული მითითება მიმწოდებლის საყურადღებოდ:** აქტის გაცნობის შემდეგ, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოების მიზნებისათვის, მიმწოდებლის მხრიდან განმახორციელებელთან ისეთი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა, რომლის არარსებობის ან/და მიმწოდებელთან სათანადოდ დაუცველობის გამო, გამოყენებულია საჯარიმო სანქციები, შესაძლოა განხილულ იქნეს განმახორციელებლის მოთხოვნის დაგვიანებით შესრულებად და განაპირობოს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ცვლილება, მ.შ., მიმწოდებლის ფინანსური ვალდებულების გაზრდა. ამასთან, განმახორციელებელი უფლებამოსილია, ცალკე წარმოებით არ განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ იგი წარდგენილია ტექნიკური, აგრეთვე, გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომების გამო, შემოწმების აქტში განხორციელებულ ცვლილებებზე.

**19. შერჩევითი შემოწმების აქტი მიმწოდებელს გაეცნო:**

**19.1. ადგილზე გადაცემის გზით:** \_\_\_\_\_ **წ.**  
გადაცემის დღე, თვე წელი

\_\_\_\_\_ **წ.**  
მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა  
თანამდებობა

\_\_\_\_\_ **წ.**  
მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა  
თანამდებობა

**19.2. ფოსტის მეშვეობით გაგზავნით:**

**N** \_\_\_\_\_ **წ.**  
გაგზავნილი წერილის ნომერი (წერილის რეგისტრაციის დღე, თვე, წელი)

\_\_\_\_\_ **წ.**  
საფოსტო შეტყობინებით ჩაბარება დადასტურებულია (დღე, თვე, წელი),

**რასაც ვადასტურებ(თ):** \_\_\_\_\_  
(შემოწმებელი ჯგუფის ხელმძღვანელის ან ჯგუფის წევრ(ებ)ის ხელმოწერა)